

ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №13  
2017 წლის 27 ივნისი

დაბა ასპინძა

ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1**

დამტკიცდეს ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირება, საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები დანართის შესაბამისად.

**მუხლი 2**

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხა-რანგირების, საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის შესაბამისად და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 სექტემბრის №32 დადგენილება ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 11/09/2014წ., 010250050.35.140.016119).

**მუხლი 3**

დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივლისიდან.

ასპინძის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა მელიქიძე

დანართი

ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირება, საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგო

№	რანგირება	თანამდებობის დასახელება	რიცხოვნობა	თანამდებობრივი სარგო
1		<b>გამგეობის პოლიტიკური თანამდებობის პირები</b>	4	
		გამგებელი	1	2 650,0
		გამგებლის პირველი მოადგილე	1	2 000,0
		გამგებლის მოადგილე	2	1 600,0
2		<b>ადმინისტრაციული სამსახური</b>	9	
	I რანგი	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი	1	1 200,0
	II რანგი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი – ადმინისტრაციული სამსახურის საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი	1	900,0
	III რანგი	საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში	1	740,0
	II რანგი	ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი – ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი	1	900,0
	III რანგი	ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სოციალური უზრუნველყოფის საკითხებში	1	670,0
	III რანგი	ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში	1	600,0
		ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი –		





